



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 6
25/01/2019

6-09-4-201901252014



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70

დადგენილებაში

„თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების

შეტანის თაობაზე - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. საკრებულოს აპარატს დაევალოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2019 წლის 20 თებერვლამდე.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინოს 2019 წლის 28 თებერვლამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

გიგა ორკოდაშვილი



საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

